ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3231930

ნომერი: AR1493112

თარიღი : 04.04.2017

გაცემის თარიღი : 03.05.2017

გაცნობის თარიღი : 03.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N5ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 4 აპრილს #AR1493112 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ #01.14.05.006.058 (ფართობი:696 კვ.მ) საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის (მიშენება–დაშენება) მიზნით დამტკიცდა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ამის შემდგომ, მოხდა მიწის ნაკვეთის გამიჯვნა ორ საკადასტრო ერთეულად(N 01.14.05.006.104 და N

01.14.05.006.105), რამაც გამოიწვია მიწის ნაკვეთის საზღვრების, ფართის, კონფიგურაციის და საკადასტრო კოდის ცვლილება, შესაბამისად განმცხადებელი ითხოვს ხსენებული ცვლილების ასახვას 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. ამასთან, 2017 წლის 4 აპრილს #AR1493112 განცხადებით წარმოდგენილია შპს „ტორნადო“-ს (მიწის ნაკვეთის მესაკუთრის) თანხმობა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.14.05.006.105; ფართობი 339 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882016425909; რეგისტრაციის თარიღი 08/07/2016 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882016554226, რეგისტრაციის თარიღი 25/08/2016 წ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.